# საქართველოს თავდაცვის მინისტრის

# ბრძანება №134

**2025 წლის 18 დეკემბერი**

**ქ. თბილისი**

**„შერჩევის საბჭოს სახეების, შემადგენლობის, სტრუქტურისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2025 წლის 24 ივნისის №83 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„შერჩევის საბჭოს სახეების, შემადგენლობის, სტრუქტურისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2025 წლის 24 ივნისის №83 ბრძანებაში (ვებგვერდი, 25/06/2025, სარეგისტრაციო კოდი: 120000000.22.026.017370) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული შერჩევის საბჭოს სახეების, შემადგენლობის, სტრუქტურისა და საქმიანობის წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის:

**ა) „ა.ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა.ვ) სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მეთაური, მეთაურის პირველი მოადგილე, მეთაურის მოადგილე, მეთაურის მოადგილე – შტაბის უფროსი;“;

**ბ) „ბ.ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ.ზ) სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელი (სამხედრო სასწავლებლის მეთაური/მეთაურის მოადგილე, დირექტორი, სკოლის მეთაური, აკადემიის მეთაური, ცენტრის მეთაური/უფროსი, კოლეჯის მეთაური);“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 13 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

**საქართველოს თავდაცვის მინისტრი** **ირაკლი ჩიქოვანი**